აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

09.11.2021

დასკვნის წარდგენის თარიღი: 23.12.2021

თბილისი
2021

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი. ა(ა)იპ
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204429341
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი - Bachelor of International Relations 0312
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240 კრედიტი
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტირებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე(სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნიკა ჩიტაძე, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველო.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირაკლი გორგილაძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საქართველო.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სალომე ალანია, ფრიდრიხ ებერტის ფონდი, სამხრეთ კავკასიის რეგიონული ოფისი, პროექტების მენეჯერი, საქართველო.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ია ნაცვლიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საქართველო.
წევრი(სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ ხატისაშვილი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, საქართველო.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წინაშე წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა საერთაშორისო ურთიერთობებში გახლავთ უკვე აკრედიტირებული და წარდგენილია ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მიერ. პროგრამის კრედიტების რაოდენობაა - 240 ECTS. სწავლების ენა - ქართული.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

უშუალოდ ვიზიტამდე, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი 8 ნოემბერს დისტანციურ რეჟიმში შეიკრიბა და 2 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა თვითშეფასების ანგარიშის განხილვა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასება ექსპერტების მიერ. ცენტრის მიერ მოწოდებული კითხვარის ფორმის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც შემდგომში დაისვა 9 ნოემბერს ინტერვიუერების პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა ხუთი წევრის შემადგენლობით ამა წლის 9 ნოემბერს განახორციელა აკრედიტაციის ვიზიტი დისტანციურ რეჟიმში, რომლის ადმინისტრირებაც სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით წარიმართა. ვიზიტის პირობებში კომისიამ შეისწავლა აკრედიტაციის პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნამდვილობა და მოახდინა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშში არსებული ნაკლული ინფორმაციის შევსება და დეტალური ანალიზი. აკრედიტაციის ვიზიტის დროს, დაზუსტდა რიგი ინფორმაცია, დამატებით მოთხოვნილი იქნა უნივერსიტეტის მიერ გაწეული ინტერნაციონალიზაციისა და პროფესიული განვითარების ხელშემწყობი მექანიზმების დამადასტურებელი შეჯამებული დოკუმენტაცია, რომელიც უშუალოდ შესასწავლ პროგრამასთან ასოცირებული აკადემიური პერსონალის მონაცემებს ეხებოდა. უნივერსიტეტმა აღნიშნული ინფორმაცია იმავე დღეს, დღის მეორე ნახევარში წარმოადგინა.

დისტანციურ რეჟიმში ექსპერტთა ჯგუფმა მუშაობა 10 საათიდან დაიწყო. სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან გაგრძელდა 18.00 საათამდე. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა ინსტიტუტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის დამსაქმებლებთან და სტაჟირების განმახორციელებლებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და ფაკულტეტის დეკანთან. საბოლოოდ, ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის საფუძველზე მიღებული მიგნებების გასაცნობად შეხვდა ინსტიტუტის ადმინისტრაციის წამომადგენლებსა და პროგრამის ხელმძღვანელს.

დისტანციურ რეჟიმში ვიზიტის ფარგლებში, ცხადია, ვერ განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, საუდიტორიო ოთახები, კაბინეტები და ა.შ) უშუალო

დათვალიერება. თუმცა, უნივერსიტეტმა განახორციელა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ვიდეო დათვალიერების უზრუნველყოფა. შედეგად, მოხდა ელექტრონული რესურსებისა და საბიბლიოთეკო კატალოგის დათვალიერება და კომისიის მიერ შეფასების მიზნით საჭირო კითხვების დასმა და ინფორმაციის ამოღება.

სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წინაშე წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა საერთაშორისო ურთიერთობებში სრულად აკმაყოფილებს პირველ, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტს 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა; 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა; 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა; 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები, ხოლო მეორე სტანდარტი - 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა), მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

რეკომენდაციები

1. მნიშვნელოვანია პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობის უკეთ გასაზომად, სამიზნე ნიშნულებში აისახოს სავალდებულო სასწავლო კურსების იმ ძირითადი შესაბამის აქტივობებისა და მეთოდების (დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, ესსე და სხვა) წილი, რომელთა შესრულებაც ფუნდამენტურია კონკრეტული სწავლის შედეგების მიღწევისთვის.
2. "საერთაშორისო ეკონომიკა" გახდეს სავალდებულო სასწავლო კურსი.
3. გადაიხედოს რიგი სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ფორმულირება, რათა ერთმანეთისგან გაიმიჯნოს უნარი და ავტონომიურობა-პასუხისმგებლობა და გახდეს მეტად გაზომვადი.
4. მოდიფიცირდეს სასწავლო კურსი "ქართული მართლწერა" - ბაკალავრიატის საფეხურისთვის რელევანტურ "აკადემიური წერის" სასწავლო კურსად.

რჩევები

1. დამსაქმებელთა სურვილიდან გამომდინარე, სასურველია, არჩევითი სახით კურიკულუმს სტუდენტთა ციფრული უნარების განვითარებაზე ორიენტირებული კურსები დაემატოს.

2. სასურველია, სტუდენტებისთვის შეთავაზებული იყოს უცხო ენების მრავალფეროვანი არჩევანი.
3. -ახალი პროგრამის შეთავაზების შემთხვევაში, სასურველია, რომ წინასწარ გაწერილი იყოს სტუდენტების მოზიდვის სტრატეგია. სასურველია არსებობდეს ინფორმაციის მიწოდების სხვადასხვა წყაროები პროგრამის შესახებ სტუდენტთა მოზიდვის მიზნით. მაგალითად, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მოქმედი მე-11 და მე-12 კლასების საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეებმა მაქსიმალური ინფორმაცია უნდა მიიღონ მომავალი ინგლისურენოვანი პროგრამის შესახებ.
4. სასურველი იქნება უფრო მეტი მემორანდუმების არსებობა და პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავება საქართველოში მოქმედ შესაბამის საჯარო სტრუქტურებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, კვლევით ცენტრებთან და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის კერძო სტრუქტურებთან პრაქტიკის განსახორციელებლად.
5. სასურველია ახალი საპროექტო წინადადებების წარდგენა ისეთი ორგანიზაციების წინაშე, როგორებიც გახლავთ ნატო (მაგ: ნატო-ს პროგრამა მეცნიერება უსაფრთხოებისათვის ფარგლებში), ევროპის დემოკრატიის მხარდამჭერი პროგრამა, დემოკრატიის ეროვნული მხარდამჭერი პროგრამა (EED) და დემოკრატიის ეროვნული მხარდაჭერის პროგრამა (NED) ა.შ.
6. სასურველია პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება და დამატებითი მოტივაციის შექმნა სტუდენტებისთვის, რათა პრაქტიკული კომპონენტით დაკავდნენ.
7. სასურველია დაწესებულების მიერ დარგის სპეციალისტებიდან, უცხოური/ადგილობრივი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან და დამსაქმებლებიდან მისაღები გარე შეფასების წინასწარ განსაზღვრული ფორმის შექმნა საგანმანათლებლო პროგრამის დეტალური შეფასების მიზნით.

მოსაზრებები უსდ-ის არგუმენტირებული პოზიციის შესახებ

უსდ-მ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომლის მიხედვითაც გარკვეულწილად იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ☐ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მიერ წარმოდგენილი განახლებული საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის მიზანია - (A) ხელი შეუწყოს მაღალი კომპეტენციის მქონე საერთაშორისო ურთიერთობების/დიპლომატიის სპეციალისტების, საჯარო მოხელეებისა და სხვა მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობის მქონე კადრების მომზადებას; (B) კურსდამთავრებულმა შეძლოს საგარეო პოლიტიკის, დიპლომატიის, მსოფლიო პოლიტიკის მიმართულებით სხვადასხვა საჯარო და არასახელმწიფო ინსტიტუტების მახასიათებლების, პოლიტიკური და დიპლომატიური აქტორებისა და მათი ქცევის, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე, გაანალიზება და შეფასება; (C) კურსდამთავრებულები აღჭურვოს დიპლომატიური და პოლიტიკური (პირველ რიგში საგარეო პოლიტიკის მიმართულებით) საქმიანობისთვის საჭირო პრაქტიკული უნარ-ჩვევებითა და ინსტრუმენტებით, რაც დაეხმარება მათ იკვლიონ, შეიმუშაონ და მართონ პოლიტიკური პროცესები სხვადასხვა სამთავრობო და ადმინისტრაციულ ორგანოში; და (D) კურსდამთავრებულს გამოუმუშავოს საერთაშორისო ურთიერთობების სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე ხელმძღვანელის მითითებით მცირე მოცულობის კვლევის ჩატარების უნარ-ჩვევები, საერთაშორისო პოლიტიკური პრობლემებისა და თანამედროვე საკითხების დამუშავების, შემდგომი განვითარებისა და ცოდნის გაღრმავების შესაძლებლობა. ☐ ჩამოთვლილი მიზნები სრულ შესაბამისობაშია ინსტიტუტის მისიასთან და სურვილთან გააფართოვოს სოციალურ მეცნიერებათა მიმართულებით სწავლების პროცესი. ჩამოთვლილი მიზნები რეალისტურია და პროგრამის განხორციელების მიზნით აკუმულირებული ადამიანური, ფინანსური და მატერიალური რესურსები უზრუნველყოფს მათ მიღწევას. ☐ პროგრამის კონცეფცია დაეფუძნა დამსაქმებლებთან შეხვედრების ციკლის პირობებში მიღებულ მონაცემებს და მაქსიმალურად შეეცადა გაეთვალისწინებინა ბაზარზე არსებული მოთხოვნები. გასათვალისწინებელია, რომ შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობისთვის უსდ იყენებს კითხვარს დამსაქმებლისთვის. ☐ უნივერსიტეტმა წარმოადგინა 2018 წლის შრომის ბაზრის კვლევა, ასევე აღნიშნა 2019 წლის GICE Partnership-ის ფარგლებში ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევა, რომელიც ხელმისაწვდომი არ არის ექსპერტთა ჯგუფისთვის (კვლევა ჩატარდა 4

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შეთანხმების საფუძველზე. 2000-მდე სტუდენტი გამოკითხა, სქართველოს დიდ ქალაქებში, 48 მიმართულებით; როგორც აღინიშნა, კვლევა მრავალმხრივი თანამშრომლობის პროდუქტია, მისი უნილატერალურად მიწოდების საშუალება მესამე მხარისთვის, დამკვეთებს არ აქვთ), რომლის შესაბამისადაც უნივერსიტეტი შეეცადა დარგის სპეციფიკისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას. ასევე აღსანიშნავია, რომ რეგულარულად ტარდება დამსაქმებლებთან ფოკუს ჯგუფები (ბოლოს, 2020 წლის დეკემბერში), თუმცა მსგავსი პრაქტიკა ერთ-ერთი დამატებით მექანიზმია, რადგან მის მცირე მასშტაბიდან გამიმდინარე, რთულია სრულყოფილ ან სიღრმისეული ინფორმაციის მიღება.

☐ უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული შრომის ბაზრის კვლევების საფუძველზე, გამოიკვეთა უნარ-ჩვევები, რომელთა დახვეწაც მნიშვნელოვანია დამსაქმებლისთვის; ამ უნარების გასაძლიერებლად უნივერსიტეტი სხვადასხვა აქტივობებით ცდილობს:

☐ უცხო ენის ცოდნა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა, შესაბამისად მისი უკეთ შესწავლისთვის, ინგლისური ენის სალექციო ჯგუფებში შემცირდა სტუდენტთა რაოდენობა; ასევე ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია ინგლისურ ენოვანი ლიტერატურა. აღსანიშნავია, რომ კურსის სილაბუსებში ინგლისურენოვანი ლიტერატურა, ხშირ შემთხვევაში, როგროც დამატებითი ლიტერატურა ისე არის მითითებული, თუმცა რაიმე სახის წამახალისებელი აქტივობები არ ხორციელდება ინგლისურენოვანი ლიტერატურის კითხვის კომპონენტის გასაძლიერებლად (მაგ: ბონუს ქულები, ა.შ)

☐ კვლევის უნარები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა, ამ კუთხით უნივერსიტეტი გეგმავს, კვლევის მეთოდების საგნის განახლებას, შემდეგი წლიდან;

☐ ვერბალური უნარების გასაძლიერებლად , რომელიც ასევე დიდი გამოწვევაა, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს დებატების კლუბი, რომელსაც უძღვება ინგლისურენოვანი სპეციალისტი (ეგრეთ წოდებული native speaker).

☐ პროგრამა გამოირჩევა საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების საგნების მრავალფეროვნებით და ფარავს მის ყველა ქვე-მიმართულებას, რომელიც პირველ რიგში პოლიტიკურ მეცნიერებებს უკავშირდება.

☐ პრაქტიკის გავლა უზრუნველყოფილია საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მიერ. შესაბამისი მემორანდუმები ხელმოწერილია რიგ საჯარო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

☐ საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა;

☐ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;

☐ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის დებულება;

☐ ინსტიტუტის მისია, მიზნები და სტრატეგია;

☐ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან; პროგრამის ხელმძღვანელთან; ადმინისტრაციის წამომადგენლებთან.

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებულიპროგრამის შემთხვევაში) :
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა [redacted] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ☐ პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის გაწერილი და აღწერს, რა ტიპის ცოდნას და უნარებს შეიძენს ბაკალავრი სწავლის პერიოდში. პროგრამის კურიკულუმი მეტწილად უზრუნველყოფს გაწერილი შედეგების მიღწევას. უსდ-ას აქვს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გამართული პროცესი უნივერსიტეტის ქართულენოვანი პროგრამის ფარგლებში. როგორც პირდაპირი (გამოკითხვა, დისკუსია, პრეზენტაცია, შუალედური და ფინალური გამოცდები), ისე არაპირდაპირი (სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვები) შეფასების მეთოდებით. გარდა ამისა, ზოგ სწავლის შედეგზე სტუდენტი გადის კონკრეტული ესეს შესრულებით, ზოგ შემთხვევაში დებატებში მონაწილეობით და ა.შ. ☐ მომიჯნავე დისციპლინებში ცოდნის გაღრმავება, გამოიკვეთა როგორც პრიორიტეტული საკითხი, დამსაქმებლის საჭიროებებიდან გამომდინარე. შესაბამისად, ამ კუთხით ცოდნის გაძლიერება, კავკასიის რეგიონის ქვეყნების და იქ მიმდინარე პროცესების შესახებ (ვრცელი რეგიონის ასევე ლოკალურ კონტექსტში), დასახელდა როგორც ერთ-ერთი აქტიური მიმართულება, გასაუმჯობესებლად. აღსანიშნავია რომ რეგიონის შესახებ ინფორმაციის არ ქონა დამსაქმებლების მიერ გამოკვეთილ, ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს.

- ☐ თეორიული და პრაქტიკული უნარების სინთეზი დამსაქმებლებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნაა კურსდამთავრებულების მიმართ, ამ მიზნით უნივერსიტეტში პრაქტიკული სწავლების კომპონენტი გათვალისწინებულია თითქმის ყველა სილაბუსში, რაც ძირითადად მოიცავს, პრეზენტაციას, ჯგუფურ მუშაობას, ეგრეთ წოდებულ case study, დებატები, ანალიტიკური სამუშაოები, policy paper მომზადება, ასევე აღინიშნა PBL (პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება/Problem-Based Learning), თუმცა ის შედარებით ნაკლებად გამოიყენება პროგრამის ფარგლები; ასევე აღინიშნა, რომ უნივერსიტეტში მუდმივად მინდინარეობს, წამყვანი აკადემიური ჟურნალების და სტატიების განხილვა და ასევე მიმდინარე პოლიტიკურ კონტექსტზე მსჯელობა, როგორც ლოკალურ ისე გლობალურ დონეზე.
- ☐ დამსაქმებლის მოთხოვნების შესაბამისად, პრაქტიკული და ანალიტიკური უნარების გასაძლიერებლად ხორციელდება შემდეგი აქტივობები: მოწვეული სტუმრების (პოლიტიკოსების, დიპლომატების) ლექციები, კვლევები, სიმულაციური მოდელები სხვადასხვა საზოგადოებრივი მართვის პროცესის მაგალითზე, საკითხები კრიტიკულ კონტექსტში განხილვა, სტატიები და სავარჯიშოები;
- ☐ უსდ იყენებს კითხვარებს სასწავლო კურსის შეფასებისთვის, კურსდამთავრებულთათვის, დამსაქმებლისთვის. გამოკითხვის შედეგების ანალიზი წარმოდგენილია დიაგრამების სახით. სწავლის შედეგების შეფასებების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიუებით უსდ-ს ადმინისტრაციასთან, სტუდენტთან, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან, პოტენციურ დამსაქმებელთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ☐ საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა;
- ☐ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ☐ ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის დებულება;
- ☐ ინსტიტუტის მისია, მიზნები და სტრატეგია;
- ☐ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ☐ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან; პროგრამის ხელმძღვანელთან; ადმინისტრაციასთან; მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან (საერთაშორისო ურთიერთობების ქართულენოვანი პროგრამა); პოტენციურ დამსაქმებლებთან.
- ☐ უსდ-ს მიერ ჩატარებული გამოკითხვების შედეგები მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან.
- ☐ პროგრამის სამიზნე ნიშნულები და შეფასების გეგმა

რეკომენდაციები:

მნიშვნელოვანია პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობის უკეთ გასაზომად, სამიზნე ნიშნულებში აისახოს სავალდებულო სასწავლო კურსების იმ ძირითადი შესაბამის

აქტივობებისა და მეთოდების (დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, ესსე და სხვა) წილი, რომელთა შესრულებაც ფუნდამენტურია კონკრეტული სწავლის შედეგების მიღწევისთვის.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლოპროგრამისმიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა	√			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა ჩამოყალიბებულია საგანმანათლებლო პროგრამის აღწერით ნაწილში. საერთაშორისო ურთიერთობების (ქართულენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება ენიჭება სრული ზოგადი განათლების მქონე პირს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას; პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან;

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას;

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია.

პროგრამა უზრუნველყოფილია, მობილობით, ხელშეკრულების საფუძველზე ჩარიცხვის პირობებით.

წინაპირობების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ინსტიტუტის ვებგვერდზე https://gipa.ge/ და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საბაკალავრო პროგრამა „საერთაშორისო ურთიერთობები“.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ **<u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება ხორციელდება შესაბამისი ბრძანების საფუძველზე, რომელიც უკავშირდება საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვას, შემუშავებას, განხორციელებასა და განვითარების წესებს და რომლის მიხედვით განსაზღვრულია პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებული პროცედურული, ტექნიკური და კონცეპტუალური საკითხები.

უსდ-ში ვიზიტისას შეფასებულ იქნა საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების ეფექტიანობა. გაანალიზებული იქნა პროგრამის შემუშავების პროცესში წარმოებული საბუთები, მათი შესაბამისობა ცალკეულ პროცედურებთან. ინტერვიუების მეშვეობით გადამოწმებული იქნა მოქმედი მარეგულირებელი წესის ყველა დაინტერესებული პირის ხელმისაწვდომობა და ცნობადობა. ირკვევა, რომ პროგრამამ გაიარა ზემოთ აღნიშნული დოკუმენტით გათვალისწინებული ყველა პროცედურა, რომლებსაც სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულები და სამუშაო ჯგუფები ასრულებენ. დასტურდება, რომ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყო აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ხარისხის უზრუნველყოფის და სხვა დეპარტამენტები, რაც დადასტურდა ინტერვიურების დროს. ჩართულობასა და პროგრამის პროცედურულ საკითხებზე პასუხისმგებელია პროგრამის ხელმძღვანელი.

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სხვადასხვა ჯგუფებთან ინტერვიუს შედეგებით მკაფიოდ ჩანს ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ეფექტიანი მუშაობა.

სტრუქტურული და შინაარსობრივი ელემენტები შეესაბამება წარმოდგენილი მარეგულირებელი წესის პირობებსა და მოთხოვნებს. დაცულია სტრუქტურა, პროცედურული წესები, განხორციელებული სააკრედიტაციო, შიდა და გარე შეფასების მექანიზმები.

პროგრამა მიჰყვება ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემას (ECTS). კრედიტები სისტემაში არ გახლავთ უნიფიცირებული. პროგრამა შედგენილია აკადემიური და სხვა დაინტერესებული პირების მონაწილეობით, საგნის თავისებურებების გათვალისწინებით.

სტრუქტურულად და შინაარსობრივად საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგება 240 ECTS, რომელშიც 187 ECTS წარმოადგენს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსებს, ხოლო 53 ECTS არის თავისუფალი კომპონენტები. მათ შორის:

a) 51 კრედიტი - ზოგადსაუნივერსიტეტო საგნები

b) 24 კრედიტი - ინგლისური ენა

c)

d) 112 კრედიტი - ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კურსები

e) 53 კრედიტი - დარგობრივი არჩევითი კურსები (ამათგან 20 შეიძლება იყოს თავისუფალი კრედიტი).

სტუდენტს შეუძლია არაუმეტეს 15 თავისუფალი კრედიტი აირჩიოს ინსტიტუტის სხვა საბაკალავრო პროგრამებიდან ან მიიღოს მობილობის დროს მიღებული შესაბამისი კრედიტების აღიარების გზით.

პროგრამის სტრუქტურული ნაწილი, სასწავლო გეგმა, ასევე სასწავლო კომპონენტების სილაბუსები (ინფორმაციას წინაპირობების შესახებ) არ ითვალისწინებს თითოეული სასწავლო კომპონენტის მიმართ მასზე დაშვების წინაპირობას (ასეთის არსებობის ან საჭიროების შემთხვევაში). მაშინ როცა სასწავლო კურსების შინაარსიდან ირკვევა, რომ წინაპირობების არსებობა ხშირ შემთხვევაში რელევანტურია, განსაკუთრებით იმ საგნებში რომლებსაც წინ უსწრებს შესავალი კურსები. <u>მაგალითად, "შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებებში" არ არის "პოლიტიკურ მოძღვრებათა საფუძვლების" წინაპირობა და გასასწორებელია ამ სასწავლო კურსების სწავლების თანმიმდევრულობა.</u> ასევე, "დასკვნითი სასწავლო პროექტის" წინაპირობად განსაზღვრული არ არის დარგობრივი სავალდებულო სასწავლო კურსები.

თითოეული სასწავლო კურსის სწავლებისა და სწავლის მეთოდები მეტწილად ადეკვატურია დასახულ მიზნებსა და სწავლის შედეგებთან მიმართებაში.

აღსანიშნავია, რომ <u>პროგრამის სწავლის შედეგების მიხედვით, საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი აანალიზებს საერთაშორისო ურთიერთობებთან, გლობალურ და ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებს ისეთ ჭრილში, როგორიცაა სამხედრო ძალა, ეკონომიკური განვითარება და სხვა, თუმცა პროგრამაში სასწავლო კურსი "საერთაშორისო ეკონომიკა" არჩევითი სახითაა შემოთავაზებული და თუ სტუდენტი მას არ აირჩევს გართულება დასახული სწავლის შედეგის მიღწევა.</u> ასევე, მნიშვნელოვანია სასწავლო კურსებს, რომლებშიც ძირითად სავალდებულო ლიტერატურად გამოყენებულია ინგლისურენოვანი გამოცემები, წინაპირობად განესაზღვროს შესაბამისი დონის ინგლისური ენის ცოდნა.

სასწავლო კომპონენტების სილაბუსებში მკაფიოდ არის გამიჯნული სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა, რომლებშიც მითითებულია როგორც წყაროები ასევე მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები. სააკრედიტაციო განაცხადის თანდართული მასალებიდან ირკვევა, რომ დაწესებულება ყოველწლიურად უზრუნველყოფს პროგრამის

საჭიროების მიხედვით ძირითადი სასწავლო და ცალკეული დამატებითი, დამხმარე სასწავლო მასალების შესყიდვას/განახლებას. გარდა ამისა პროფესორ მასწავლებლების პერსონალური ბიოგრაფიული მონაცემებიდან (CV-დან) და ბოლო 5 წლის განმავლობაში სამეცნიერო პუბლიკაციებიდან ჩანს, რომ სწავლება ხორციელდება უახლესი ინფორმაციის დამუშავების, კვლევის შედეგად მიღებული აქტუალურ ცოდნაზე დაყრდნობით.

პროგრამის შინაარსის, სასწავლო კურსების მოცულობა, კომპლექსურობა, ცხადყოფს, რომ უზრუნველყოფილია მათი თავსებადობა პროგრამაზე დაშვების წინაპირობებთან, რაც იძლევა საფუძვლიან მოლოდინს, რომ პროგრამის წინაპირობის დაძლევის შედეგად ჩარიცხული პირისთვის პროგრამა დაძლევადია.

მთლიანობაში, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სავალდებულო და არჩევითი კომპონენტები, თანმიმდევრობა შეესაბამება სწავლების საბაკალავრო საფეხურს;

უსდ-ს ვებ-გვერდის და სხვა ხელმისაწვდომი ქსელების მეშვეობით უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საერთაშორისო ურთიერთობების ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა;
- პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების სილაბუსები;
- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი.
- საერთაშორისო ურთიერთობების ქართულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი.

რეკომენდაციები:

- "საერთაშორისო ეკონომიკა" გახდეს სავალდებულო სასწავლო კურსი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- დამსაქმებელთა სურვილიდან გამომდინარე, სასურველია, არჩევითი სახით კურიკულუმს სტუდენტთა ციფრული უნარების განვითარებაზე ორიენტირებული კურსები დაემატოს.

- სასურველია, სტუდენტებისთვის შეთავაზებული იყოს უცხო ენების მრავალფეროვანი არჩევანი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის შემადგენელი კომპონენტების სტრუქტურა გაწერილი არის შესაბამის სილაბუსში და ასახავს ინფორმაციას სასწავლო კურსის სახელწოდების, ავტორის, სასწავლო კურსის სტატუსის, მიზნების, კრედიტების რაოდენობის და საათების (ECTS) განაწილების, სწავლის შედეგების, სასწავლო კურსის შინაარსის, სწავლების/სწავლის მეთოდების, შეფასების, ძირითადი და დამატებითი ლიტერატურისა შესახებ. სილაბუსის შედგენის პროცედურები აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ დაცულია სრულად. საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულია სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების კურიკულუმის რუკა, რომელიც წარმოაჩენს თითოეული სასწავლო კომპონენტის მიერ პროგრამის სწავლის შედეგებთან თანხვედრას და ცოდნის სიღრმეს, თუმცა გარკვეული სასწავლო კურსების სილაბუსებში ბოლომდე არ არის გამიჯნული უნარებისა და ავტონომიურობა-პასუხისმგებლობის სწავლის შედეგები. საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მიზნებისთვის წარმოდგენილ მასალებში ნათლად ჩანს, რომ აკადემიური პერსონალი და სხვა დაინტერესებული პირები აქტიურად მონაწილეობენ პროგრამის სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსების, მათი მიზანშეწონილობის, შინაარსის განსაზღვრაში. წარმოდგენილი მასალებიდან, ირკვევა, რომ დაწესებულების შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები, მარეგულირებელი აქტები ქმნიან სისტემას, მექანიზმებს/ინსტრუმენტებს, რომლის მეშვეობით შესაძლებელია თითოეული სასწავლო

კურსის სწავლის შედეგების პროგრამის სწავლის შედეგებთან, სასწავლო კურსის შინაარსის იმავე სასწავლო კურსის სწავლის შედეგებთან, სასწავლო კურსის სწავლის შედეგების უმაღლესი განათლების შესაბამის (ამ შემთხვევაში საბაკალავრო) საფეხურთან თანხვედრის, სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობის/მოცულობის იმავე სასწავლო კურსის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან, სილაბუსში მითითებული სავალდებულო და სხვა სასწავლო მასალების კურსის სწავლის შედეგებთან თანხვედრა/შესაბამისობა და შედარების უზრუნველყოფას. პროგრამის შემადგენელი სასწავლო კომპონენტების შინაარსი, თემატიკა ჩამოყალიბებულია უმაღლესი განათლების პირველი, საბაკალავრო დონის პირველადი ცოდნის დონის გათვალისწინებით. სავალდებულო სასწავლო კურსის შინაარსი ესადაგება სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს ფართო (სრული ზოგადი განათლების შემდგომი) ცოდნას, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებასა და ცოდნის ზოგიერთ უახლეს ასპექტს. გარდა ამისა, სასწავლო კურსების შინაარსი ეფუძნება სწავლის შედეგებს, რაც უზრუნველყოფს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შესაბამისობას უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურთან.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა, შინაარსით შეესაბამება ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებას.

სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა). შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

სასწავლო კომპონენტის სილაბუსებში მითითებულია სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა. ინტერვიუებით ირკვევა, რომ დაწესებულება ყოველწლიურად უზრუნველყოფს პროგრამის საჭიროების მიხედვით ძირითადი სასწავლო და ცალკეული დამატებითი, დამხმარე სასწავლო მასალების შესყიდვას/განახლებას. პროფესორ/მასწავლებლების პერსონალური მონაცემები, მათი სამეცნიერო პუბლიკაციები

და პრაქტიკული გამოცდილება გავძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ სწავლება ხორციელდება აქტუალურ ცოდნაზე დაყრდნობით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საერთაშორისო ურთიერთობების ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა; • საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების სილაბუსები; • საერთაშორისო ურთიერთობების ქართულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დოკუმენტის.
რეკომენდაციები: -გადაიხედოს რიგი სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ფორმულირება, რათა ერთმანეთისგან გაიმიჯნოს უნარი და ავტონომიურობა-პასუხისმგებლობა და გახდეს მეტად გაზომვადი. - მოდიფიცირდეს სასწავლო კურსი "ქართული მართლწერა" - ბაკალავრიატის საფეხურისთვის რელევანტურ "აკადემიური წერის" სასწავლო კურსად.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -ახალი პროგრამის შეთავაზების შემთხვევაში, სასურველია, რომ წინასწარ გაწერილი იყოს სტუდენტების მოზიდვის სტრატეგია. სასურველია არსებობდეს ინფორმაციის მიწოდების სხვადასხვა წყაროები პროგრამის შესახებ სტუდენტთა მოზიდვის მიზნით. მაგალითად, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მოქმედი მე-11 და მე-12 კლასების საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეებმა მაქსიმალური ინფორმაცია უნდა მიიღონ მომავალი ინგლისურენოვანი პროგრამის შესახებ.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაში სწავლის შედეგები შედგება სავალდებულო და არჩევითი კომპონენტებისაგან. სავალდებულო კომპონენტები ორიენტირებულია პროფესიულ მახასიათებლებზე რაც ცალკეული სასწავლო კურსების შინაარში ვლინდება. პრაქტიკული ნაწილი ასევე ინტეგრირებულია სასწავლო კომპონენტებში - იქ, სადაც მეტი აქცენტი თეორიის პრაქტიკაში რეალიზებისთვის საჭირო უნარჩვევების გამომუშავებასა და განვითარებაზე კეთდება. პროგრამა ითვალისწინებს სასწავლო კურსების არჩევითობის შესაძლებლობას. სასწავლო პრაქტიკის კომპონენტს პროგრამა ითვალისწინებს არჩევითი სახით. მოცემული პროგრამის ფარგლებში, სტუდენტების პრაქტიკების დიდი გამოცდილება არ არსებობს. ბოლო 4 წლის მანძილზე, სტუდენტური პრაქტიკის მხოლოდ ორი შემთხვევა ფიქსირდება, უმეტესად კერძო სექტორში; აღსანიშნავია რომ პრაქტიკა არჩევითი კომპონენტია, რომელსაც 6 კრედიტი ენიჭება. პრაქტიკის მოდელი ხორციელდება მაგისტრატურის საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის მაგალითზე: პრაქტიკის გავლა არ არის დამოკიდებული სტუდენტის მაღალ აკადემიურ მოსწრებაზე, არამედ მის სურვილსა და ინტერესებზე; ასევე ამ პროცესში მნიშვნელოვანია პროგრამის ხელმძღვანელის ამ აკადემიური პერსონალის რეკომენდაციები, რომელთა გაცემის მუდმივი პრაქტიკაც ჯიპაში არსებობს. დამატებით ფუქნციონირების „პრაქტიკის დაცვის“ კომპონენტი, რაც გულისხმობს ორმხრივი შეფასების მოდელს. სტუდენტი იღებს დახასიათებას დამსაქმებლისგან, ასევე სტუდენტიც სპეციალური კითხვარის მეშვეობით აფასებს როგორც პრაქტიკის ობიექტს ისე დამსაქმებელს. შესაბამისად, პრაქტიკული კომპონენტის იმპლემენტაციის თვალსაზრისით, უნივერსიტეტს აქვს მემორანდუმები სხვადასხვა ორგანიზაციებთან, თუმცა როგორც გამოიკვეთა, რომ მათი იმპლემენტაციის პროცესში საჯარო უწყებებთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობა ხორციელდება (რაც თავის მხრივ, ბუნებრივია ჯიპას პროფილიდან და საჯარო უწყებებში დასაქმებული კურსდამთავრებულების გათვალისწინებით, სხვა პროგრამების ფარგლებში), თუმცა საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის ფარგლებში სასურველია თანამშრომლების გაძლიერება ადგილობრივ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან; რისი მზაობა და სურვილი უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ ვიზიტის მიმდინარეობისას დაადასტურა. პრაქტიკის არსებული მოდელის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მისი გაძლიერება და დამატებითი მოტივაციის შექმნა სტუდენტებისთვის, რათა პრაქტიკული კომპონენტით დაკავდნენ, რადგანაც შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე, პრაქტიკის პირობებში შეძენილი უნარები მნიშვნელოვანია პროგრამის დამთავრების შემდეგ დასაქმებისთვის და ასევე სწავლის პროცესში პრაქტიკული და თეორიული

ცოდნის სინთეზისთვის; მასთანვე, პროფესიული ავტობიოგრაფიის (CV) გამრავალფეროვნებისთვის, რაც თავის მხრივ კურსდამთავრებულს უფრო კონკურენტუნარიანს გახდის პროგრამის დასრულების შემდეგ დასაქმების პროცესში.

უზრუნველყოფილია სასწავლო ვიზიტები შესაბამის დაწესებულებებში ან მაღალი დონის სპიკერების მოწვევა უნივერსიტეტში. უსდ-ს გააჩნია მნიშვნელოვანი გამოცდილება სამეცნიერო კვლევითი ღონისძიებების ორგანიზებაში. მასპინძლობს და ხელს უწყობს სტუდენტებისა და პერსონალის მონაწილეობას სხვადასხვა სამეცნიერო/კვლევით ღონისძიებებში. აქტიურად ატარებს სტუდენტურ კონფერენციებს. ინტერვიუმ ასევე ცხადყო, რომ სტუდენტს პრაქტიკული თუ კვლევითი ხასიათის პროექტებში მონაწილეობისას ხელმძღვანელობას უწევს დარგის კვალიფიციური პირი, რომელთაც შეუძლიათ მათი განმავითარებელი შეფასება.

სამართლისა და პოლიტიკის სკოლა, სტუდენტთა პრაქტიკული და კვლევის უნარების განვითარებისთვის, თანამშრომლობს სხვადასხვა არასამთავრობო და სახელმწიფო ორგანიზაციებთან რაც სახელმწიფო სტრუქტურებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთთანამშრომლობის არაერთი მემორანდუმით დასტურდება.

პროგრამა ორიენტირებულია უზრუნველყოს პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა სამეცნიერო კვლევითი უნარების განვითარება და/ან მათ შესაბამის პროექტებში ჩართვით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხელშეკრულებები/მემორანდუმები ეკონომიკურ აგენტებთან და პრაქტიკის ობიექტებთან;
- საერთაშორისო ურთიერთობების ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-სასურველი იქნება უფრო მეტი მემორანდუმების არსებობა და პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავება საქართველოში მოქმედ შესაბამის საჯარო სტრუქტურებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, კვლევით ცენტრებთან და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის კერძო სტრუქტურებთან პრაქტიკის განსახორციელებლად.

-სასურველია ახალი საპროექტო წინადადებების წარდგენა ისეთი ორგანიზაციების წინაშე, როგორებიც გახლავთ ნატო (მაგ: ნატო-ს პროგრამა მეცნიერება უსაფრთხოებისათვის ფარგლებში), ევროპის დემოკრატიის მხარდამჭერი პროგრამა, დემოკრატიის ეროვნული მხარდამჭერი პროგრამა (EED) და დემოკრატიის ეროვნული მხარდაჭერის პროგრამა (NED) ა.შ.

-სასურველია პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება და დამატებითი მოტივაციის შექმნა სტუდენტებისთვის, რათა პრაქტიკული კომპონენტით დაკავდნენ.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი სერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლებისთვის გამოიყენება ისეთი მეთოდები და აქტივობები, როგორიცაა: ლექცია, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, ელექტრონული სწავლება, ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა და სხვ. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებს სასწავლო კურსის მიზნის მისაღწევ გზებს (მეთოდებს), რაც სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს ეფუძნება.

სწავლების მეთოდების შერჩევისას ხშირ შემთხვევაში გათვალისწინებულია სასწავლო კურსის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი, რაც მიიღწევა შესაბამისი აქტივობებით: დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, დემონსტრირება, ახსნა-განმარტება, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერება, დედუქცია, ინდუქცია, ანალიზი, გონებრივი იერიში, შემთხვევების

ანალიზი (Casestudy), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) და სხვა. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი იყენებს ზემოთ ჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე აქტივობას.

საგანმანათლებლო პროგრამის, სასწავლო კურსის სილაბუსების შინაარსის, სწავლება-სწავლის მეთოდების, თემატიკის აქტივობებისა და მეთოდების შედარების, სასწავლო პროცესში ჩართულ და დაინტერესებულ პირებთან ინტერვიუს გზით იკვეთება, რომ პერსონალის მიერ ძირითადად გამოყენებულია, უმაღლესი განათლების პირველი საფეხურისთვის ვალიდური, პირველადი ცოდნის და უნარების უზრუნველმყოფელი მეთოდები, დაცულია სასწავლო კურსის თავისებურებები/სპეციფიკა (თეორიული და პრაქტიკული ხასიათი), თუმცა, ზოგ შემთხვევაში აშკარაა, მეთოდი შერჩეულია არა კონკრეტული დისციპლინისთვის არამედ მექანიკურად არის გადმოტანილი შესაბამისი სახელმძღვანელოებიდან (სწავლის მეთოდი: კითხვა; ამონაწერის და ჩანაწერის გაკეთება და ა.შ.) რაც შედეგზე არ არის ორიენტირებული და ფორმალურ ხასიათს ატარებს. სპონტანურად შერჩეული მეთოდი კი არღვევს სილაბუსით გათვალისწინებული შედეგების მიღწევადობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საერთაშორისო ურთიერთობების ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

GIPA-ს საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 (05.01.2007) ბრძანებით და უსდ-ს სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის შესაბამისად. კერძოდ, პროგრამის სტუდენტის შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი მრავალკომპონენტიანი სისტემით (შუალედური შეფასება და დასკვნითი გამოცდა). შუალედური და ფინალური შეფასებისათვის მინიჭებული ხვედრითი წონა და მინიმალური კომპეტენციის ზღვრები ინდივიდუალურია თითოეული საგნის შემთხვევაში და დეტალურადაა გაწერილი სილაბუსებში. გამოიყენება შეფასების მინიმუმ 3 კომპონენტი თითოეულ საგანში, ყოველი ასეთი კომპონენტისათვის სილაბუსში დეტალურადაა ჩაშლილი რუბრიკა.

სილაბუსები და საჭირო მასალები ატვირთულია სასწავლო პროცესის მართვის ონლაინ-პლატფორმაზე (lmb.gipa.ge). ამავე პლატფორმაზე იღებენ შეფასებას სტუდენტები. სტუდენტს აქვს უფლება გაასაჩივროს მიღებული შედგები უსდ-ს განსაზღვრული სამართლებრივი პროცედურების შესაბამისად. სტუდენტი უფლებამოსილია, შესაბამისი პროცედურების დაცვით, წერილობითი საჩივრით მიმართოს სკოლის დეკანს შეფასების მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში. დამოუკიდებელი პირი განიხილავს მის ნაშრომს და გააკეთებს ინდივიდუალურ შეფასებას, რომელიც საბოლოოა.

სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგი და ანალიზი მიმდინარეობს გარკვეული პერიოდულობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი;
- საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა;
- GIPA სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები;

• სილაბუსები; • ინტერვიუები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა <u>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი GIPA-ს საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება ხორციელდება ეფექტურად. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა გაიარონ კონსულტაცია აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, როგორც გაწერილ საკონსულტაციო საათებში, ასევე საჭიროებისამებრ ნებისმიერ დროს. საკონსულტაციო საათების ცხრილი ატვირთულია lmb პლატფორმაზე. პროგრამის ხელმძღვანელი, კოორდინატორი, სკოლის დეკანი და ლექტორები მაქსიმალურად არიან ჩართულები სტუდენტთა მხარდამჭერ სერვისებში. მუდმივად იმართება საინფორმაციო შეხვედრები, რათა სტუდენტები გაარკვიონ სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხში, როგორებიცაა მაგ.: ფინანსური ვალდებულებები, კრედიტების განაწილება, საგნების არჩევა, ონლაინ პლატფორმის გამოყენების წესები და ა. შ. მაქსიმალური ხელშეწყობის მიზნით უსდ სტუდენტებს სთავაზობს სავალდებულო საგნებიდან ამოწერის შესაძლებლობას, მომავალ სემესტრებში მათი გავლის პირობით. ასევე სთავაზობს არჩევითი საგნების ნაცვლად აიღოს სხვა ნებისმიერი პროგრამის საგანი, რომელსაც არ გააჩნია წინაპირობა.

უსდ-ში არსებობს ინფორმირების ელექტრონული სერვისები, რომელთა საშუალებითაც სტუდენტი იღებს ინფორმაციას დასაქმების, კარიერული განვითარების შესაძლებლობებისა და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. გარდა კორპორატიული ელ-ფოსტისა, ასევე დანერგილია ონლაინ-სასწავლო პლატფორმა lmb, რომელიც აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში. ამ პლატფორმაზე განთავსებულია სასწავლო მასალა, სილაბუსები. ამავე პლატფორმაზე იღებენ სტუდენტები შეფასებას და ასევე აფასებენ სასწავლო კურსებსა და პედაგოგებს, რაც სავალდებულო და ანონიმურია. მაღალი აკადემიური მოსწრება წახალისებულია პროგრამის შიდა სტიპენდიით, 5 საუკეთესო მოსწრების მქონე სტუდენტი იღებს სტიპენდიას რეიტინგის შესაბამისად. გარდა ამისა, იმ პირველკურსელებს, რომლებიც ჩაირიცხნენ სახელმწიფო გრანტით, უნივერსიტეტი დამატებით ერთჯერად დაფინანსებას ანიჭებს. ყოველწლიურად ტარდება კონფერენციები, მოდელირებები, საჯარო ლექციები, რომლებშიც აქტიურად მონაწილეობენ აღნიშნული პროგრამის სტუდენტები. ასევე, სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულები გაცვლით პროგრამებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების დოკუმენტი; • საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა; • GIPA სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები; • სტუდენტთა მობილობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; • ინტერვიუები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

○
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **<u>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი *<u>საბაკალავრო პროგრამა სტანდარტის აღნიშნული კომპონენტით არ შეფასებულა.</u>*
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ასევე ინტერვიუების შედეგად დგინდება, რომ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორებისგან, ასოცირებული, ასისტენტ პროფესორებისგან და ასისტენტებისაგან. აკადემიურ თანამდებობაზე პერსონალის შერჩევა ხდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით - ღია კონკურსით. ყველა პოზიციისათვის განსაზღვრულია შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლის მიხედვით აკადემიური თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომლის კვალიფიკაცია დასტურდება პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით.

აკადემიური პერსონალის საქმიანობა შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან და უსდ-ს რეგულაციებთან. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 13 აკადემიური პერსონალი (8 პროფესორი, 3 ასოცირებული და 2 ასისტენტ პროფესორი) ასევე, 17 მოწვეული ლექტორი. სტუდენტების რაოდენობა შეადგენს 119 აქტიურ სტუდენტს, შესაბამისად მოწვეული ლექტორების და სტუდენტების შეფარდება არის 17/119, რაც ნიშნავს, რომ 7 სტუდენტზე მოდის 1 მოწვეული ლექტორი.

აკადემიურ პერსონალთან მიმართებაში ეს მაჩვენებელი 13/119-ზეა, რაც ნიშნავს, რომ დაახლოებით 9 სტუდენტზე მოდის ერთი აკადემიური პერსონალი. შესაბამისად, აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების სათანადო შესრულებასა და მდგრადობას. აკადემიური პერსონალის თითოეულ წევრთან გაფორმებულია ხელშეკრულება, სადაც ასახულია სამუშაოს აღწერილობა, თანამდებობრივი ინსტრუქცია.

პროფესორ მასწავლებლების პირადი საქმეების ანალიზმა აჩვენა, რომ აკადემიურ პერსონალს აქვს პროგრამის დასახული მიზნის და მისი შემდგომი განვითარების რესურსი. პროგრამის ხელმძღვანელისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლების შეთანხმებული თანამშრომლობით გაიზარდა საუნივერსიტეტო გრანტის მოცულობა, რომელიც გულისხმობს პროფესორ მასწავლებლების მონაწილეობას საერთაშორისო კონფერენციებში და სტუდენტების ჩართვას კვლევით პროექტებში, რაც მეტყველებს აკადემიური პერსონალის მაღალ მოტივაციასა და კვალიფიკაციაზე.

ნათლად დგინდება პროგრამის ხელმძღვანელის მაღალი კვალიფიკაცია და ჩართულობა პროგრამის განხორციელებაში. აღსანიშნავია, რომ პროგრამის ხელმძღვანელის გამოცდილება და სამეცნიერო კვალიფიკაცია უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალისათვის კონკურენტულ გარემოს და კოლეგიალურ ატმოსფეროს შექმნას.

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სამართლისა და პოლიტიკის სკოლის აკადემიური პერსონალი გარდა სალექციო და სასემინაროს საქმიანობისა, აქტიურ სამეცნიერო საქმიანობასაც ეწევა, რაც აისახება მათ მიერ გამოქვეყნებულ სამეცნიერო სტატიებში. აღსანიშნავია ადმინისტრაციის ჩართულობა სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და განხორციელებაში.

ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ ხარისხის სამსახური, ბიბლიოთეკა ინტერესდებიან პროფესორ-მასწავლებლების საჭიროებებით და აკადემიურ პერსონალის მოთხოვნებს სწრაფად და ეფექტურად ეხმაურებიან.

აკადემიურ პერსონალი უზრუნველყოფილია უახლესი დარგობრივი და მომიჯნავე ლიტერატურით; წიგნებსა და ელექტრონულ ბაზებზე წვდომა ტექნიკურად

უზრუნველყოფილია; ჯიპას ბიუჯეტში სასწავლო მასალებით უზრუნველყოფისათვის გამოყოფილია თანხა. ბიბლიოთეკა წიგნადი ფონდით და საძიებო სისტემით სათანადოდ არის აღჭურვილი. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პროგრამის ხელმძღვანელი მუდმივად აკვირდება აკადემიურ სივრცეს, ეცნობა ახალ კადრებს და ცდილობს მათ ინტეგრაციას პროგრამაში. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის აკადემიური პერსონალი ფლობს მაღალ კვალიფიკაციას, ხოლო აკადემიური პერსონალის რაოდენობა სრულებით უზრუნველყოფს სასწავლო და კვლევითი პროცესების სრულყოფილ წარმართვას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინტერვიუ აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან; ○ აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმეები; ○ სამუშაო აღწერილობა - პროგრამის ხელმძღვანელი; ○ სამუშაო აღწერილობა - პროგრამის კოორდინატორი; ○ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა; ○ აკადემიური დატვირთვის სქემის შაბლონი.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ასევე ინტერვიუებით ირკვევა, რომ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი მუდმივად ზრუნავს როგორც აკადემიური პერსონალის განვითარების ასევე ახალი კადრების მოზიდვაზე. ისინი აქტიურად არიან ჩართულნი კვლევით საქმიანობაში, რასაც ასევე ადასტურდემა მათი CV-ებით და სხვა დამადასტურებელი ინდიკატორებით. კვლევების დეპარტამენტი ზრუნავს უნივერსიტეტის შიგნით კვლევითი კომპონენტის გაძლიერებაზე და საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის განვითარებაზე.

აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება ხორციელდება სხვდასახვა მიმართულებით და მას ხელს უწყობს:

უსდ სტრუქტურული ერთეულები. კვლევითი საქმიანობა ხორციელდება სტრუქტურული ერთეულის-კვლევითი დეპარტამენტის კოორდინაციით და ხარისხის სამსახურთან მჭიდრო თანამშრომლობით. კვლევითი საქმიანობის საკონტროლო მექანიზმად გამოიყენება აკადემიური პერსონალის წლიური ანგარიში, სადაც ასახულია აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობა.

სამეცნიერო საქმიანობა. სამეცნიერო საქმიანობა (სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის სამეცნიერო მივლინება, კონფერენციაში მონაწილეობა, პუბლიკაციის გამოქვეყნება და ა.შ.) მხარდაჭერილია უნივერსიტეტის ბიუჯეტით. ბიუჯეტში აისახა ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა და მოხდა მისი ადაპტაცია არსებულ ვითარებასთან. ეს ვითარება სათანადოდ აისახა ბიუჯეტში. ასე მაგალითად, კვლევის დეპარტამენტის ფინანსური მხარდაჭერა ყოველწლიურად იზრდება 15%-ით.

საგამომცემლო საქმიანობა. უსდ-ში მოქმედებს პოლიტიკის შეფასების ცენტრი, რომელიც კოორდინაციას უწევს ელექტრონული გამოცემების გამოქვეყნებას და ეს პროცესი ასევე ფინანსურად უზრუნველყოფილია. აღსანიშნავია, რომ *ჯიპა* აკადემიურ საქმიანობას, სასწავლო პროცესს უთავსებს უნივერსიტეტის სამეწარმეო პოტენციალის გაზრდას, რაც აისახება საუნივერსიტეტო სტარტაპ პროექტების დაფინანსებაში.

კვლევითი საქმიანობის ანალიზი და შეფასება. შეფასება ხდება ყოველწლიური ანგარიშით, ამ მიზნით შექმნილია ანალიზისა და შეფასების სისტემა, რომელიც დოკუმენტურად არის აღწერილი. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სტუდენტების ჩართვას სამეცნიერო-კვლევით პროექტებში. ამ საქმიანობის შეფასება და განხილვა ხდება *ზოგად საუნივერსიტეტო* დონეზე.

სამეცნიერო საქმიანობის ხარისხის ამაღლება. უსდ-ს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები. ასე მაგალითად ტროის უნივერსიტეტთან ერთად გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე საფუძველი ჩაეყარა ინგლისურენოვან ონლაინ ჟურნალს Journal of Politics and Democratization, სადაც აკადემიური პერსონალი აქვეყნებს სტატიებს. აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას ხელს უწყობს მაღალრეიტინგულ გამოცემაში პუბლიკაციების გამოქვეყნება. უნივერსიტეტის ხარისხის სამსახური და პროგრამის ხელმძღვანელი ახორციელებს

პუბლიკაციების მონიტორინგს, რაც დასტურდება წარმოდგენილი თვითშეფასების დოკუმენტით და აკადემიური პერსონალის სივებით.

აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებას ხელს უწყობს საერთაშორისო პროფესიული ასოციაციის წევრობაც. აკადემიური პერსონალის აკადემიური კეთილსინდისიერება მოწმდება TURNITIN-ის ლიცენზირებული პროგრამით.

უნივერსიტეტის ბიუჯეტი, სტრუქტურული ერთეულები და პროგრამის ხელმძღვანელი ზრუნავენ აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციაზე და სასწავლო პროცესის სრულყოფაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან და ხარისხის სამსახურთან;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- პერსონალის საქმიანობის შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენება პერსონალის პროფესიულ განვითარებაში 2018 წლიდან დღემდე;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- http://www.promig.tsu.edu.ge/;
- http://www.unimig.tsu.edu.ge/;
- https://herd.tsu.ge/ka/categori/29/Consortia;
- http://jpd.gipa.ge/;
- აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასების, ასევე წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სამართლისა და პოლიტიკის სკოლის სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი. აგრეთვე უსდ მუდმივად ზრუნავს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებაზე. ეს მიღწეულია:

1. თანამედროვე საპრეზენტაციო საშუალებებით აღჭურვილი (პროექტორები, სამუშაო მაგიდები და სკამები და ა.შ.) აუდიტორიებითა და საკონფერენციო დარბაზებით;
2. კომპიუტერებით და კომპიუტერული პროგრამებით;
3. ბიბლიოთეკით, რომელიც მუდმივად ივსება ახალი ლიტერატურით და ელექტრონული, ციფრული ბაზებით ((EBSCO; JSTOR; Cambridge Journals Online; BioOne Complete; e-Duke Journals Scholarly Collection; Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books; ImechE Journals; New England Journal of Medicine; Openedition Journlas; Royal Society Journals Collection; SAGE Premier));
4. სტუდენტთა შეფასების ელექტრონული სისტემით
5. უნივერსიტეტი აღჭურვილია უსაფრთხოების სისტემებით (lmb.gipa.ge);

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუ ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან და რესურსების ვიდეო დათვალიერება;
- შენობა-ნაგებობის საკუთრებაში არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სილაბუსებში არსებული ძირითადი ლიტერატურის საბიბლიოთეკო ფონდში არსებობა დასტურდება, ერთი მხრივ ვებ-გვერდზე არსებული კატალოგებითა და პროგრამა KOHA-ში არსებული აღრიცხვით და მეორე მხრივ, მათი „LMB“ პროგრამაში არსებობით, რომელიც ხელმისაწვდომია ელექტრონულად.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საერთო ბიუჯეტი იქმნება სხვადასხვა პროგრამის სტუდენტების სწავლების გადასახადისა და სხვადასხვა შემოსავლებისგან. პროგრამის ბიუჯეტი ხელმისაწვდომია აკადემიური პერსონალისა და დაინტერესებული პირებისათვის. ბიუჯეტი სათანადოდ არის გაწერილი და მასში გათვალისწინებულია სხვადასხვა პროგრამის მოსალოდნელი შემოსავლები. ინტერვიუზე გამოიკვეთა, რომ პროგრამის ხელმძღვანელს აქვს შესაძლებლობა სასწავლო და კვლევითი პროექტებისათვის მოითხოვოს თანხები, რაც მეტწილად მხარდაჭერილია ადმინისტრაციის მხრიდან. პროგრამისათვის აუცილებელ სხვა ხარჯები (ლიტერატურის შეძენა, კონფერენციებში მონაწილეობა და ა.შ.) უნივერსიტეტის საერთო ბიუჯეტიდან იფარება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის ბიუჯეტი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

უნივერსიტეტის მისიის რეალიზებისა და და მიზნების მისაღწევად დაწესებულებას შექმნილი აქვს საგანმანათლებლო პროგრამების შიდა ხარისხის შეფასების სისტემა, შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ მოთხოვნები და სისტემატურად ახორციელებს დაწესებულების საქმიანობის მონიტორინგს. საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის შეფასება და პროგრამის შემუშავება ეყრდნობა სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესებს, - „თავი VIII სასწავლო პროცესის მონიტორინგის, ხარისხის შეფასების, შედეგების ანალიზისა და გამოყენების წესები"; „თავი III საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები". პროგრამის ხარისხის სრულყოფისათვის უნივერსიტეტი იყენებს სასწავლო პროცესში ჩართული დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის მექანიზმს, რომელიც ხორციელდება სტუდენტების, პოტენციური დამსაქმებლების, აკადემიური და

მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულების რეგულარული გამოკითხვების საშუალებით.

დაწესებულებაში სასწავლო პროცესის შეფასება მოიცავს შემდეგ ელემენტებს: სწავლის ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზისა და გამოყენების ციკლი; სწავლების ხარისხის შეფასების მიმართულებები და ინსტრუმენტები; სასწავლო პროცესის შიდა შეფასების შედეგების ანალიზი და რეაგირების პროცედურები. სასწავლო პროცესის შიდა შეაფსება თავისი შინაარსით მოიცავს ორ ძირითად მიმართულებას: სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შეფასება და ანალიზი - სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებით ხდება უშუალოდ სასაწავლო პროცესის შესწავლა და ხარვეზების აღმოფხვრა; სასწავლო პროცესის ან მისი კომპონენტის (საგანი, მოდული და სხვა) დასრულების შემდგომი შეფასება და ანალიზი - შეფასების შედეგები გამოიყენება არსებული მიდგომების და პროგრამის კომპონენტების გადასახედად მომავალი სასწავლო წლისათვის. შეფასების შედეგებს აანალიზებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, შესაბამის სკოლის პერსონალის, მათ შორის სკოლის დეკანის, პროგრამის ხელმძღვანელის, კოორდინატორების, სკოლის აკადემიური პერონალის და სხვა დაინტერესებული პირების ჩართულობით. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს მიღებულ შედეგებზე დროული რეაგირების მიზნით უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეფასების შედეგების გაანალიზების საფუძველზე შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებიც წარედგინება სკოლის აკადემიურ საბჭოს განსახილველად.

2020 წლის დეკემბერში სამართლისა და პოლიტიკის სკოლის აკადემიური საბჭოს (ოქმი N 161; 20.12.2020) გადაწყვეტილებით ჩამოყალიბდა საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის **თვითშეფასების თერთმეტი წევრისგან შედგარი ჯგუფი,** რომლის შემადგენლობაში შევიდა აკადემიური პერსონალი პროგრამის ხელმძღვანელისა და პროგრამის კოორდინატორის ჩათვლით, სკოლისა და დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლები, სკოლისა და დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები, დამსაქმებლები, სტუდენტები. თვითშფასების პროცესში ჯგუფის წევრებზე გადანაწილდა პასუხისმგებლობების სფეროები. **თვითშეფასების პროცესში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე - ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, დამსაქმებლები, სტუდენტები, კოლეგიალური შეფასებისთვის მოწვეული ექსპერტები სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან. პროგრამას მიმდინარე ეტაპზე კურსდამთავრებული არ ჰყავს და, შესაბამისად, თვითშეფასების პროცესში ჩართული არ ყოფილა კურსდამთავრებიულები.** ზოგადად, დაწესებულება სისტემატურად ატარებს საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა პერიოდულ გამოკითხვებს და მიღებულ უკუკავშირს ითვალისწინებს პროგრამების განვითარებისთვის. თვითშეფასების ჯგუფის მონაწილეობით ჩატარდა სამუშაო შეხვედრები სანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებისთვის, განახლდა პროგრამის სტატისტიკური მონაცემები, შეჯამდა საანგარიშო პერიოდში განხორციელებული აქტივობები, შეფასების შედეგად გამოვლენილი მიგნებების საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები გათვალისწინებულ იქნა სასწავლო პროგრამის მოდიფიცირებაზე მუშაობის პროცესში.

როგორც დაწესებულების ადმინისტრაციულ, აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან ინტერვიუებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების დროს გამოიკვეთა, დაწესებულებაში მოქმედი ელექტრონული მართვის მონაცემთა ბაზა (LMB) გამოიყენება ორმხრივი შეფასების სისტემის კუთხითაც: ბაზის საშუალებით დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იღებს უკუკავშირს სტუდენტებისგან, აკადემიური და მოწვეული პერსონალისგან. ამასთან, ამავე პლატფორმის საშუალებით სტუდენტებს და პერსონალს შეუძლიათ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურიდან უკუკავშირის მიღებაც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით ○ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები; ○ ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო; ○ აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მასალები; ○ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების შემაჯამებელი ანალიზი; ○ კოლეგიალური შეფასება საქართველოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან; ○ დამსაქმებლებთან შეხვედრის-მრგვალი მაგიდის შემაჯამებელი ანალიზი; ○ ინსტიტუციური გარემოს შეფასების ანალიზი; ○ ეროვნული შრომის ბაზრის კვლევის ხელშეკრულება; ○ დამსაქმებლების კითხვარი; ○ ლექტორებთან განხორციელებული შეხვედრების ანგარიში; ○ ლექციებზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგები; ○ პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების ანგარიში; ○ საერთაშორისო საგანმანათლებლო მსგავსი პროგრამების ანალიზი; ○ საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები; ○ სტუდენტთა ფოკუს ჯგუფების შედეგების ანალიზი; ○ ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში არსებული მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამების ანალიზი; ○ შრომის ბაზრის კვლევა; ○ პერსონალის საქმიანობის შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენება პერსონალის პროფესიულ განვითარებაში; ○ სამართლის საბაკალავრო პროგრამის 2016-2020 წწ. კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები; ○ სტრატეგიული განვითარების გეგმა 2018-2024 წწ.; ○ უნივერსიტეტის დებულება; ○ ინტერვიუ დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან; ○ ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ○ ინტერვიუ დაწესებულებისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციულ პერსონალთან; ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, შიდა შეფასების ინსტრუმენტებთან ერთად, იყენებს გარე შეფასების მექანიზმებს. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსა და ექსპერტთა რეკომენდაციები აისახა საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამაში: ცალკეული საგნების სილაბუსში დაკონკრეტდა საგანზე დაშვების წინაპირობები, რაც აისახა პროგრამის სასწავლო გეგმაში. სამართლისა და პოლიტიკის სკოლამ გაანალიზა გარე ექსპერტების მიერ პროგრამის განვითარებისთვის გაცემული რჩევებიც და გაიზიარა მათი მნიშვნელოვანი ნაწილი.

საგანმანათლებლო პროგრამის სააკრედიტაციო განაცხადის მომზადების პროცესში ასევე ჩართული იყო გარე ექსპერტი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, რომელმაც განახორციელა კურიკულუმის კონცეპტუალური მხარის შეფასება.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მიღებული კოლეგიალური შეფასება წარმოაჩენს დადებით შეფასებას, თუმცა სასურველი იქნება გარე შეფასების უფრო სტრუქტურიზებული სახით წარმოდგენა. ამისათვის სასურველია დაწესებულების მიერ დარგის სპეციალისტებიდან, უცხოური/ადგილობრივი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან და დამსაქმებლებიდან მისაღები გარე შეფასების წინასწარ განსაზღვრული ფორმის შექმნა საგანმანათლებლო პროგრამის დეტალური შეფასების მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
  - საგანმანათლებლო პროპგრამა და სილაბუსები;
  - პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების ანგარიში;
  - საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #19; 26.01. 2018;
  - საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი N5; 26.01. 2018;
  - აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ (23 იანვარი, 2018);

- საქართველოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან კოლეგიალური გარე შეფასების დასკვნა.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია დაწესებულების მიერ დარგის სპეციალისტებიდან, უცხოური/ადგილობრივი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან და დამსაქმებლებიდან მისაღები გარე შეფასების წინასწარ განსაზღვრული ფორმის შექმნა საგანმანათლებლო პროგრამის დეტალური შეფასების მიზნით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების,

კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების ჩართულობით., კერძოდ: **შიდა ხარისხის მონიტორინგისას მიღებული შედეგების საფუძველზე და სხვა გარე ფაქტორების გათვალისწინებით, ყოველ აკადემიურ წელს ხდება კურიკულუმების გადახედვა და დახვეწა.** პროგრამის მუდმივი მონიტორინგისა და თვითშეფასების მიზნით **სისტემატურად ტარდება შეხვედრები პროგრამაში ჩართულ აკადემიურ, მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალთან.** **დაწესებულება აწარმოებს შემთხვევითი შერჩევის პრინციპით აკადემიური და მოწვეული ლექტორების ლექციებსა და გამოცდებზე კოლეგიალურ დასწრებას,** რომელსაც, ასევე ესწრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი. აღნიშნული მექანიზმის მიზანია, საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ხარისხზე დაკვირვება და, საჭიროების შემთხვევაში, ლექტორებისათვის რეკომენდაციების შემუშავება. **ლექტორებს კომუნიკაცია მუდმივი კომუნიკაცია აქვთ პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის კორდინატორთან, იღებენ საგანმანათლებლო პროგრამის ცვლილებების პროექტს და საშუალება ეძლევათ, გამოთქვან მოსაზრებები. ამასთან, პერსონალის კმაყოფილების კვლევის მიზნით დაწესებულებაში ტარდება ინსტიტუციური გარემოს შეფასება და ანალიზი.** **ყოველი კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტები ელექტრონული მართვის მონაცემთა ბაზის (LMB) გამოყენებით ელექტრონულად ჩაშენებული კითხვარების საშუალებით ავსებენ შეფასების კითხვარს,** რომლის საშუალებითაც შესაძლებლობა აქვთ ანონიმურად შეაფასონ ლექტორის პროფესიონალიზმი, სასწავლო მასალა, კურსის დასრულებისას მიღწეული შედეგი, სწავლების მეთოდოლოგია და სხვა. **შეჯამდა 2019- 2020 და 2020-2021 სასწავლო წელს შესაბამის სემესტრში შევსებული შეფასების კითხვარების შედეგები, განხორციელდა შედეგების ანალიზი და გათვალისწინებულ იქნა კურიკულუმის შემუშავებისას.** ამასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი

სასწავლო წლის დასრულების შემდეგ ხვდება სტუდენტებს ფოკუს-ჯგუფის ფორმატში და განიხილავს სასწავლო პროცესის დეტალებს. პროგრამის კოორდინატორი უწყვეტ კომუნიკაციაშია სტუდენტებთან, რაც უზრუნველყოფს სწრაფ რეაგირებას.

დაწესებულება პერიოდულ მონიტორინგს უწევს სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებას. დაწესებულების მიერ აღირიცხა და შეჯამდა საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის 2019-2020 სასწავლო წელს შეთავაზებული საგნებისა და 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში შეთავაზებულ საგნებში სტუდენტების მიერ მიღებული შეფასებები. ანალიზის მიზანი იყო იმის გარკვევა, რამდენად სწორად იყო შერჩეული სწავლების მეთოდოლოგია, რამდენად რთული ან მარტივი იყო საგანი სტუდენტებისათვის, რამდენად გამართლებული იყო თითოეული საგნის მოცემულ სემესტრში განაწილება, რამდენად ადეკვატური იყო ლექტორი შეფასებისას და სხვა.

სკოლის მიერ განხორციელდა საქართველოში და საზღვარგარეთ არსებული მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამების შესწავლა და სააკრედიტაციოდ მომზადებული პროგრამის მათთან შედარება. ქართული უნივერსიტეტების შერჩევა განხორციელდა მათი რეიტინგისა და ცნობადობის გათვალისწინებით.

შრომის ბაზრის მოთხოვნების უკეთ შესასწავლად დაწესებულება ყოველწლიურად ატარებს **პოტენციურ დამსაქმებლებთან მრგვალი მაგიდის ფორმატის შეხვედრებს.** შეხვედრებში მონაწილეობას იღებენ სახელმწიფო, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სკოლის ადმინისტრაცია თვალყურს ადევნებს კურსდამთავრებულების დასაქმების სტატისტიკასა და მათ კარიერულ განვითარებას, რისთვისაც აწარმოებს მონაცემთა შეგროვებას/ანალიზს და არსებულ მონაცემებს იყენებს პროგრამების დაგეგმვასა და სრულყოფაში. პერიოდულად, ხდება აღნიშნული მონაცემების გადამოწმება და კორექტირება.

დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი აქტივობის შეაფსების მიზნით თანამშრომლობს დაწესებულენის კვლევების დეპარტამენტთან, რომელიც აფასებს პერსონალის სამეცნიერო-პროდუქტიულობას.

ხარისხის უზრუნველყოფის სტრუქტურულ ერთეულებს აქვთ კონკტერული სამოქმედო გეგმა, რაც გულისხობს კონკრეტულ დროს კონკრეტული აქტივობების ჩატარებას, მაგალითად, გამოკითხვა, ლექტორის შეფასება და ა.შ. ამასთან, თუ გახდა საჭიროება, ხდება შეფასება გეგმის მიღმაც ცალკეული პროცესებზე დაკვირვება, მონაცემთა შეგროვება-ანალიზი და შეფასება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ პროგრამის განხორციელებისას **გამოკვეთილია პროგრამის კოორდიანტორის როლი, კერძოდ,** პროგრამის ადმინისტრირების ტვირთი გადადის პროგრამის კოორდინატორებზე, რაც საკმაოდ კომფორტულ გარემოს უქმნის პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალს და საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს კურსდამთავრებულებთან **სისტემატური კავშირის დამყარებას და უკუკავშირის მიღების მექანიზმი. დაწესებულებას აქვს კურსდამთავრებულთა ბაზა და გარკვეული პერიოდულობით (მაგალითად, წელიწადში ერთხელ)** უკავშირდებიან კურსდამთავრებულებს და ატარებენ სატელეფონო გამოკითხვას მათგან უკუკავშირის მიღების მიზნით. კურსდამთავრებულებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ზოგჯერ დღეში 4-5 შეტყობინებას იღებენ ელფოსტის მეშვეობით დაწესებულებიდან დასაქმების შესაძლებლობების და ვაკანსიების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით ○ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები; ○ საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა; ○ ეროვნული შრომის ბაზრის კვლევის ხელშეკრულება; ○ აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ანგარიში; ○ შრომის ბაზრის ანალიზი; ○ ლექციებზე განხორციელებულიმონიტორინგის შედეგები; ○ სტუდენტური კითხვარების შედეგების ანალიზი; ○ ფოკუს-ჯგუფების შედეგების ანალიზი; ○ განხორციელებული ცვლილებების ანგარიში; ○ ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში არსებული მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამების ანალიზი; ○ საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში არსებული მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამების ანალიზი; ○ ინსტიტუციური გარემოს შეფასების ანალიზი; ○ დამსაქმებლებთან შეხვედრის ანგარიში; ○ ლექტორებთან განხორციელებული შეხვედრების ანგარიში; ○ პერსონალის საქმიანობის შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენება პერსონალის პროფესიულ განვითარებაში; ○ სამართლის საბაკალავრო პროგრამის 2016-2020 წწ. კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები; ○ ინტერვიუ დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან; ○ ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ○ ინტერვიუ დაწესებულებისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციულ პერსონალთან; ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: „საერთაშორისო ურთიერთობები“ ბაკალავრიატი

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 46

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა ნიკა ჩიტაძე 

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, სალომე ალანია

სახელი, გვარი, თამარ ხატისაშვილი

სახელი, გვარი, ია ნაცვლიშვილი

სახელი, გვარი, ირაკლი გორგილაძე